საქართველოს გარემოსდაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

შპს ,,მნ კომპანის"
აღმასრულებელი დირექტორი შაკო სირაძე
საკონტაქტო ტელეფონი: 577 61 11 24

ელექტრონული ფოსტა: nkhvedeliani@yahoo.com
მის: თბილისი, მ.ალექსიძის 12

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 24 მარტის №335/ს ბრძანებით, შპს ,,მნ კომპანი"-ზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ყვიბისის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 წლის ვადით, გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის (სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები) მოპოვების № 10002755 ლიცენზია.

შპს „მნ კომპანის" ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე დაუწესდა მიწის და სამთო მინაკუთვნი, რომლის I უბანის ფართობი 3 890 კვ.მ-ია, ხოლო II უბანის ფართობი 13 780 კვ.მ., სადაც სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვის მოსაპოვებელი (P კატეგორია) ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვრა 38 873 ტონის ოდენობით.

ასევე, ამავე ბრძანების ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია (რკინიგზის შეუფერხებლად მუშაობისთვის) მოპოვების პარალელურად განახორციელოს ნაპირსამაგრი და რკინიგზის დამცავი ნაგებობის მოწყობა.

ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულების მიზნით, საკონსულტაციო კომპანია შპს ,,აბსოლუტ მენეჯმენტ ჯგუფი''-ს მიერ, საქართველოს კანონის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მომზადებული იქნა ***„ სოფ. ყვიბისში მდ. მტკვარზე ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების პროექტი"- სკრინინგის ანგარიში***.

ამდენად, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:
1 ცალი CD დისკი
პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი: შაკო სირაძე

23.06.2022
23/06

№16504
23.06.2022